დამტკიცებულია
შპს ჯეიბიეს სკოლის
დირექტორის მიერ

ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა

თბილისი

მუხლი 1. შესავალი

შპს ჯეიბიეს სკოლის (შემდგომში „სკოლის“) ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ფინანსური დაგეგმვის, მიზნობრივი განკარგვისა და პერიოდული მონიტორინგის პრინციპებს და უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტობას, სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და ინსტიტუციურ მდგრადობას ფინანსური რესურსების კანონიერი და ეფექტიანი გამოყენების გზით.

მუხლი 2. ფინანსური დაგეგმვა (ბიუჯეტირება)

1. სკოლაში ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება წლიური ბიუჯეტის შედგენის გზით. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი ეფუძნება რეალისტურ ფინანსურ პროგნოზებს და მოიცავს შემდეგი ფაქტორების ანალიზს:
   - მოსწავლეთა მოსალოდნელი რაოდენობა და სწავლის საფასურით მიღებული დაგეგმილი შემოსავლები;
   - სახელმწიფო ვაუჩერის მოცულობა;
   - დამფუძნებლის მხრიდან დაგეგმილი ფინანსური ინვესტიციები, მათ შორის ინფრასტრუქტურულ, ტექნიკურ და საგანმანათლებლო განვითარებაზე მიმართული მხარდაჭერა;
   - მიზნობრივი და ნებაყოფლობითი შემოწირულობები, რომლებიც გამოიყენება სკოლის განვითარების კონკრეტული საჭიროებების დასაფინანსებლად;
   - წინა წლების ფინანსური მონაცემები, ხარჯების დინამიკა და სკოლის სტრატეგიული პრიორიტეტები.
2. დაგეგმვის პროცესში განისაზღვრება როგორც მიმდინარე საოპერაციო ხარჯები (შრომის ანაზღაურება, კომუნალური, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები), ასევე სკოლის განვითარებაზე მიმართული ინვესტიციები, მათ შორის სასწავლო რესურსების განახლება, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, პერსონალის პროფესიული განვითარება და სასკოლო გარემოს გაუმჯობესება და ა.შ.

მუხლი 3. ფინანსური დაგეგმვის პროცედურა

1. ფინანსური დაგეგმვა ხდება შემდეგი პროცედურით:
   - ✓ მტკიცდება სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
   - ✓ ხორციელდება საპროგოზო ბიუჯეტის გადახედვა, ფინანსური მდგრადობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების შეტანა;
   - ✓ ხორციელდება სწავლის საფასურის გადახდის სქემების შემუშავება;
2. ბიუჯეტის პროექტს შეეიმუშავებს სკოლის დირექტორი სკოლის დამფუძნებელთან და ბუღალტერთან თანამშრომლობით.

მუხლი 4. საპროგნოზო ბიუჯეტი

პირველადი საპროგნოზო ბიუჯეტის შემუშავება ხდება იანვრის თვეში, ხოლო შემდგომ ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება ხდება ყოველი წლის სექტემბერში და ებმება სასწავლო წელს. ბიუჯეტის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს წინა (სასწავლო) წლის ბიუჯეტი და მისი შესრულების შედეგები, მიმდინარე სასწავლო წელს მოსწავლეთა რაოდენობა, კლასების რაოდენობა, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების, სკოლის ადმინისტრაციული და სამეურნეო ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსი.

მუხლი 5. ფინანსური მონიტორინგი

1. დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მონიტორინგი მოიცავს:
   - ✓ შემოსავლებისა და ხარჯების მიმდინარე აღრიცხვას;
   - ✓ ბიუჯეტით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან ფაქტობრივი მონაცემების შედარებას;
   - ✓ გადახრების იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი კორექტირებების განხორციელებას.
2. ფინანსურ მონიტორინგზე უფლებამოსილია სკოლის დირექტორი ბუღალტერთან თანამშრომლობით. მონიტორინგი მიმდინარეობს ყოველთვიური და სემესტრული ანალიზის ფორმატში, რაც უზრუნველყოფს ფინანსურ რისკებზე დროულ რეაგირებასა და ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებას. საჭიროების შემთხვევაში, სკოლა იყენებს გარე პროფესიულ კონსულტაციას, მათ შორის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურებას.
3. ყოველწლიურად ხდება ფინანსური ანგარიშგებების ატვირთვა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე და ასევე, ვაუჩერული დაფინანსების გახარჯვის შესახებ ინფორმაცია წარედგინება საგანმანათლებლო რესურსცენტრს მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 6. ფინანსური რესურსების განკარგვა

1. ფინანსური რესურსების განკარგვა ხორციელდება დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა ფინანსური ოპერაცია უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული და ასახული ბუღალტრულ აღრიცხვაში.
2. ფინანსური რესურსების გამოყენებისას სკოლა ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
   - ✓ მიზნობრიობა და აუცილებლობა;
   - ✓ საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მხარდაჭერა;
   - ✓ ფინანსური გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობა;
   - ✓ სკოლის გრძელვადიანი განვითარების ინტერესების გათვალისწინება.

3. დამფუძნებლის ფინანსური ჩართულობა და მიზნობრივი მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის განვითარების პროექტების განხორციელებაში და ხელს უწყობს საოპერაციო და ფინანსური რისკების შემცირებას.

მუხლი 7. ფინანსური რისკების მართვა

1. ფინანსური რისკების მართვა შედგება 3 ეტაპისგან: **რისკების ანალიზი, რისკების მართვა და კონტროლი.**

- ✓ რისკების ანალიზის ეტაპზე ხორციელდება რისკის იდენტიფიცირება და შეფასება იმ მოსალოდნელი შედეგების, რომელიც შეიძლება ამ რისკმა გამოიწვიოს.
- ✓ ფინანსური რისკების იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია შესწავლილ იქნას:

ა) საფრთხეები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი;

ბ) სკოლის რესურსები, რომლებიც შესაძლოა დააზარალოს ფინანსურმა რისკებმა;

გ) რისკის რესურსებზე ზემოქმედების შედეგად მოსალოდნელი ზარალი;

დ) ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გაზარდონ ან შეამცირონ რისკების რეალიზაციის ალბათობა;

2. სკოლაში გამოიყოფა შემდეგი შიდა და გარე რისკები:

- ✓ ორგანიზაციის ფინანსების არასათანადო მართვა (შიდა რისკი);
- ✓ მოსწავლეების სწავლის საფასურის გადახდისუუნარობა (გარე რისკი);
- ✓ სავალუტო რისკი დაკავშირებული მასალისა და ტექნიკის, კვების მომსახურების შეძენასთან (გარე რისკი).

3. საფინანსო რისკის ანალიზის შემდეგ სკოლა იღებს გადაწყვეტილებას რისკის მართვის მეთოდების შერჩევის შესახებ. რისკის მართვისათვის სკოლამ შესაძლოა გამოიყენოს შემდგი მეთოდები:

ა) რისკის აღმოფხრვა - ამ დროს სკოლა ახდენს საფინანსო რისკის დადგომის ალბათობის დაყვანას მინიმუმამდე, რასაც ახორციელებს მოცემულ რისკთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაზე უარის თქმით.

ბ) რისკის შემცირება - ამ დროს ხდება რისკის დადგომის ალბათობის და ზარალის დადგომის ალბათობის სიდიდის შემცირება.

მუხლი 8. პოლიტიკის რევიზია და დამტკიცება

1. ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკას სკოლის ბუღალტერთან თანამშრომლობით შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. პოლიტიკა გადაიხედება საჭიროებისამებრ, მათ შორის ფინანსური გარემოს ცვლილებების, სკოლის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების ან ფინანსური მართვის პროცესების გაუმჯობესების საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში.

3. წიანმდებარე პოლიტიკის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული წესით.